



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

№617

2016 წლის 16 ივნისი

ქ.ლაგოდეხი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს გამგებლის წარმომადგენლებისათვის დავალების მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე.“ და „ე.ე.“ ქვეპუნქტებისა და „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ივლისის №20 დადგენილების მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ვბრძანებ:

მუხლი 1. დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლებს ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში, აღმოუჩინონ დახმარება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ლაგოდეხის რაიონულ განყოფილებას „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული ოჯახების ელექტროენერგიის აბონენტის ნომრის დაზუსტების მიზნით.

მუხლი 2. ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი დაევალოს გამგებლის წარმომადგენლებს ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში.

მუხლი 3. ბრძანება ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

მუხლი 4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №22.

გამგებელი:



კარლო ჯამბურია